



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 02

2018 წლის 18 იანვარი

ქ. ბათუმი

**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის №25 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის №25 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.0116220 07/08/2017წ [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)) დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტი და პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები		
N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	მერი	3500
2	მერის პირველი მოადგილე	2200
3	მერის მოადგილე	1800
4	I რანგი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის ხელმძღვანელი	1500
5	II რანგი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ხელმძღვანელის მოადგილე - სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	1400
6	II რანგი- მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1200
7	III რანგი - I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900
8	III რანგი - II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	800
9	III რანგი - III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	700
10	IV რანგი - I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	700
11	IV რანგი - II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	550